პიროვნული შფოთვა და სოციალური დომინანტობის ორიენტაცია

ემოციის რეგულაციის მედიაციური როლი 1990-იანი წლების კრიზისული გამოცდილების მქონე თაობაში

გიორგი გიგაური

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: კლინიკური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნატა მეფარიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს დამოუკიდებელ და ორიგინალურ ნამუშევარს. ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო, თეორიული მოსაზრება, ემპირიული მიგნება და სხვა ავტორთა იდეა მითითებულია შესაბამისი აკადემიური წესების დაცვით. ნაშრომი არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც სათანადოდ არ არის მოხსენიებული ან ციტირებული.

აბსტრაქტი

პიროვნული შფოთვა შეიძლება უკავშირდებოდეს სხვადასხვა ფსიქოლოგიურ და სოციალურ ფაქტორს. მათ შორის მნიშვნელოვანია ემოციის რეგულაციის სტრატეგიები, რომლებიც განსაზღვრავს, როგორ მართავს ადამიანი ემოციურ რეაქციებს სტრესულ ან ემოციურად დატვირთულ სიტუაციებში. ამასთან, სოციალური გარემოსა და ჯგუფთაშორისი ურთიერთობების აღქმა შეიძლება უკავშირდებოდეს როგორც ინდივიდუალურ ემოციურ მახასიათებლებს, ისე რეგულაციურ პროცესებს. მოცემულ ნაშრომში განხილულია, როგორ უკავშირდება პიროვნული შფოთვა ემოციის რეგულაციის სტრატეგიებსა და სოციალური დომინანტობის ორიენტაციას 1990-იანი წლების კრიზისული გამოცდილების მქონე თაობის კონტექსტში.

კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 143 მონაწილე, რომელთა ასაკი 35-დან 77 წლამდე მერყეობდა. პიროვნული შფოთვის, ემოციის რეგულაციისა და სოციალური დომინანტობის ორიენტაციის საკვლევად გამოყენებული იყო შესაბამისი თვითანგარიშის კითხვარები. მონაცემთა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პიროვნული შფოთვა უარყოფითად უკავშირდება კოგნიტურ გადაფასებას. ეს ნიშნავს, რომ რაც უფრო მაღალია პიროვნული შფოთვის დონე, მით უფრო ნაკლებად გამოიყენება კოგნიტური გადაფასება, როგორც ემოციის რეგულაციის სტრატეგია. პიროვნული შფოთვა სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ იყო დაკავშირებული ექსპრესიულ ჩახშობასა და სოციალური დომინანტობის ორიენტაციას. ასევე, კოგნიტური გადაფასება და ექსპრესიული ჩახშობა მნიშვნელოვნად არ უკავშირდებოდა სოციალური დომინანტობის ორიენტაციას. მედიაციური ანალიზის შედეგად არ დადასტურდა, რომ ემოციის რეგულაციის სტრატეგიები მედიაციურ როლს ასრულებდა პიროვნულ შფოთვასა და სოციალური დომინანტობის ორიენტაციას შორის კავშირში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: პიროვნული შფოთვა, ემოციის რეგულაცია, კოგნიტური გადაფასება, ექსპრესიული ჩახშობა, სოციალური დომინანტობის ორიენტაცია.

Abstract

Trait anxiety may be related to various psychological and social factors. Among them, emotion regulation strategies are important because they determine how individuals manage their emotional reactions in stressful or emotionally demanding situations. At the same time, the perception of the social environment and intergroup relations may be associated with both individual emotional characteristics and regulatory processes. The present thesis examines how trait anxiety is related to emotion regulation strategies and social dominance orientation in the context of a generation with experience of the crisis period of the 1990s in Georgia.

The study included 143 participants aged between 35 and 77 years. Self-report questionnaires were used to assess trait anxiety, emotion regulation, and social dominance orientation. Data analysis revealed that trait anxiety was negatively associated with cognitive reappraisal. This means that the higher the level of trait anxiety, the less frequently cognitive reappraisal was used as an emotion regulation strategy. Trait anxiety was not significantly associated with expressive suppression or social dominance orientation. In addition, cognitive reappraisal and expressive suppression were not significantly associated with social dominance orientation. The mediation analysis did not confirm that emotion regulation strategies played a mediating role in the relationship between trait anxiety and social dominance orientation.

Key words: trait anxiety, emotion regulation, cognitive reappraisal, expressive suppression, social dominance orientation.

მადლობა

გაწეული შრომისა და მხარდაჭერისთვის მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ნატა მეფარიშვილს. მისი პროფესიული რეკომენდაციები, უკუკავშირი და კვლევის პროცესში გაწეული დახმარება მნიშვნელოვანი იყო ნაშრომის თეორიული ჩარჩოს, მეთოდოლოგიური ნაწილისა და საბოლოო ფორმის ჩამოყალიბებისთვის.

ასევე მადლობას ვუხდი კვლევის თითოეულ მონაწილეს, რომლებმაც დრო დაუთმეს კითხვარის შევსებას და საკუთარი მონაწილეობით შესაძლებელი გახადეს კვლევის განხორციელება. მათი ჩართულობის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მონაცემების შეგროვება და კვლევის ძირითადი საკითხების ემპირიული შესწავლა.